

ამერიკერმა 10 წუთში 72 ჰოტ-დოგი შეჭამა

ამერიკერმა ჯოეი ჩესტნატი (Joey Chestnut) ახალი რეკორდი დაამყარა. ჰოტ-დოგების ჭამის ყოველწლიურ ჩემპიონატზე Nathan's Annual Famous International Hot Dog Eating Contest მან 10 წუთში 72 სოსისიანი ფუნთუშა შეჭამა. 33 წლის ჯოეი ჩესტნატისთვის ეს რიგით მეათე გამარჯვებაა. გასულ წელს მამაკაცმა 70 ჰოტ-დოგი მიირთვა.

ქაღებს შორის გამარჯვებული მიკი სუდო (Miki Sudo) გახდა. 20 წლის გოგონა ამ ჩემპიონატზე უკვე მეოთხედ იმარჯვებს. წელს 10 წუთში მან 41 ჰოტ-დოგი შეჭამა. გამარჯვებულებმა ჯილდოს სახით \$ 10 000 მიიღეს. ჩემპიონატის სპონსორი კომპანია Nathan's Famous-ია, რომელსაც ამერიკაში რესტორნების ქსელი აქვს. სწრაფი კვების ობიექტში მთავარ კერძს ჰოტ-დოგი წარმოადგენს.

<https://www.youtube.com/watch?v=PIq-iiwVeBs>